№ 141 11 ენკენისთვე, კვირა 1866—1877 11 ენკენისთვე, კვირა № 141

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

**კანტორა რედაქციისა:** მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

**ხელის-მოწერა:** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა** დიდი ასოებით ასოზე—[illegible] კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატ. რა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

1 სექტემბრიდამ ამ წლის დამლევამდე

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა—4 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ცალკე ნომრები

## „დროებისა“

თფილისს გარდა შემდეგ ქალაქებში ისყიდება კიდეც:

**გორში**—რკინის გზის სტანციის ბუფეტში

**ქუთაისში:** სვიმონ ჩომახიძესთან, ტიპოგრაფიაში, ბულვართან,

**ბექათუბანში**—სტანციის ბუფეტში,

**ხაშურში** (მიხაილოვში)—სტანციის ბუფეტში და

**ოზურგეთში**—თუმანოვის მაღაზიაში.

**ახალციხეს**—უფ. ალ. ვარძელოვის მაღაზიაში.

# ტელეგრამმები

## ბრძოლის ველიდამ

(ოფიციალური)

I

**ყარაიალი**, 9 აგვისტოს. 6 სექტემბრიდამ იზმაილ-ფაშამ დაიწყო ზარბაზნების დაყენება იმ მთებზე, რომელნიც სოფლების ხალფალუსა და ხამხაბარის პირდა-პირ არიან და თან ლენ. ტერ-ლუკასოვის ჯარისაკენ სროლა შექნა. ეტყობოდა, რომ იზმაილ-ფაშას განზრახვა ჰქონდა ბარზე ჩამოსულიყო. 8 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, იზმაილ-ფაშა მოაწვა სოფ. ხალფალუს და ზემო-ჩარუხჩის. ორი საათის განმავლობაში ზარბაზნისა და თოფის სროლა იყო; ბაქოს, ტამანის და სტავროპოლის პოლკებმა ყოველის მხრიდამ ჟუჟუ-აქციეს მტერი. დაგვიჭრეს ბაქოს პოლკის კამანდირი პოლკ. ივანოვი.

საღამოს 500 ბაშიბუზუყებმა გადასჰრეს ჩვენი მოწინავე ჯარი, და წაემართნენ არაქსისაკენ: მაგრამ იმწამსვე რამდონიმე ყაზახის სოტნისაგან განდევნილი იყვნენ.—აქ კი ჩვენ არავითარი ზიანი არ მოგვცემია. საზოგადოთ ამ შემთხვევებში ერთობ მცირე ზიანი მოგვეცა.

II

შუა დაღესტანში დაწყებული არეულობა მსწრაფლად გავრცელდა მთელს გუნიბის მაზრაში. 30 აგვისტოს აჯანყებულები რამდენსამე ალაგას დაეცნენ ჩვენს წვრიმალ კამანდებს. ამ მაზრის მახლობელ ალაგებიდამ, შურიდამ და აგრეთვე პოლკოვნიკის თ. ნაკაშიძის ჯარები გაგზავნილი იყვნენ ამათ დასამშვიდებლად და 8 სექტემბერს ყველგან დაამშვიდობეს. ყარაკოისუს მხრის აულებმა მორჩილობა გააცხადეს. ჩვენის მხრით 27 კაცია მოკლული და დაჭრილი.

**ლონდონი**, 9 სექტემბერს. გაზ. „Times“-ის კორრესპონდენტი ბორნი-სტუდენიდამ იწერება 9 სექტემბერს: რუსისა და რუმინიის ჯარები გრივიცას რედუტთან დგანან (პლევნასთან) და მეორე რედუტსაც, უეჭველია, მალე აიღებენ; გრივიცის მარცხნივ დგნ. კრიდენერის მე-9 კორპუსი დგას; აქვე არის თ. იმერეთინსკის კორპუსი სკობელევის დარჩენილის ჯარით.

რუსები გაუწყვეტლივ 325 ზარბაზნიდამ ისვრიან პლევნოსაკენ ყუმბარებს. ოსმალების მხრიდამ კი ძალიან სუსტი სროლაა; ამბობენ, რომ იმათ ყუმბარები და ტყვია-წამალი ნაკლებათა აქვთო. რუსები აქ ძალიან გამაგრდნენ.

**ვენა**, 9 სექტემბერს. „Tagblatt“-ს სწერენ ბელგრადიდამ (სერბიიდამ), რომ მთავრობას მილიცია შინ დაუთხოვნია.

**ბუხარესტი**, 10 ენკენისთვეს. „Новое Время“-ს დეპეშა 9 აგვისტოს: ორშაბათს სულეიმან-ფაშის საუკეთესო ჯარი გაცხარებით დაეცა შიპკოსთან წმ. ნიკოლაის სიმაგრეს. საშინელი ბრძოლა იყო რამდენიმე საათის განმავლობაში. ღამის საათზე მოვიდნენ ოსმალოები ერიშით. ჩვენები თავ-გადადებით იბრძოდნენ. სულეიმან-ფაშას მთელი თავის არმია მოაყენა წმ. ნიკოლაის მთას. სხვა ფაშებთან ერთად შუა ჯარში იდგა სულეიმან-ფაშა. ოსმალოს ჯარი უკან დაბრუნეს; იმათ მოუკლიათ 3,500 კაცი, ჩვენის მხრით კი 520-მდი არის მოკლული და 19 აფიცერი. ყუმბარები მტრის არმიაში სკდებოდა; ზარბაზნების სროლა მთელი დღე არ შეწყვეტილა. როგორც ეტყობა, სულეიმან-ფაშას ცოტა ჯარი რჩება. უკან დაბრუნებულ ოსმალოს სალდათებს იმათივე აფიცრები ხვდებოდნენ წინ და ხოცდნენ. ჩვენი დაჭრილები, რომელნიც ოსმალოებს ჩაუვარდათ ხელში, საშინელის წვალებით დახოცე. ჩვენი ჯარებიც გაბრაზდნენ: ტყვეები არ აჰყავთ.

# ომის ამბები

## აზიის ბრძოლის ველიდამ

არც სამზღვარ-გარეთიდამ და არც რუსეთიდამ დღეს ფოჩტა არ მოსულა; ამის გამო მკითხველები მოგვიტევებენ, თუ ამ ნომერში „ცხელ-ცხელ“ ომის ამბავს ვერ წაიკითხვენ.

რედ.

„როიტერის სააგენტოში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა არზრუმიდამ მიღებული:

„რუსებმა ისევ მოიტანეს ალექსანდროპოლიდამ თავის დიდი ზარბაზნები იმ განზრახვით, რომ მუხთარ-ფაშის მოპირდაპირე ბანაკი ბალდირავანის მთა და ქურუქ-დარა გაამაგრონ.

„მეორე მხრით ღენერალი ტერ-ლუკასოვიც ამაგრებს იგდირს, რომელზედაც პირ-და-პირ ერევნისაკენ გზა მიდის.“

უიზილ-ტაფის ოსმალოებისაგან აღების თაობაზე ლონდონის გაზეთს „Times“-ში შემდეგი დეპეშაა დაბეჭდილი არზრუმიდამ 22 აგვისტოს გაგზავნილი:

„უიზილ-ტაფის მთა ხუთ რუსის ბატალიონით იყო დაჭერილი. ამ თვის 12-ს ღამით ამ მთას დაეცა ორი ატრიადი ოსმალოსა; ერთს ალი-ფაშა მიუძღოდა და მეორეს არტაანის გმირი კაპიტანი მეჰმედ-ბეი. რუსები მხნეთ დაუხვდნენ; მაგრამ მტერი ერთი-ათად უფრო მეტი იყო და ამის გამო ვერ გაუძლეს და უკან დაიწიეს. სამჯერ მიადგნენ შემდეგ კიდევ რუსები, მაგრამ ველარ წაართვეს ეს მთა.

„ამ ბრძოლაში ოსმალების მხრით 430 კაცი მოკლეს და 1,400-მდინ დაჭრილია, რუსებსაც დიდი ზიანი მიეცათ.

„დაჭერისა თანავე გამაგრებას შეუდგნენ ოსმალოები ამ მთისას და ახლა ისე გამაგრებულია, რომ იმის ხელ-ახლად წართმევა რუსებს ძნელად-ღა შეუძლიანთ.“

—

გაზეთის “Сѣверный Вѣстникъ“-ის ყარაიალელი კორრესპონდენტი ამბობს, რომ, უიზილ-ტაფის აღების დროს, ოსმალოს ჯარს წინ თეთრ-ჩალმიანი მოლლები მოუძღოდნენ, ხელები ზეცისაკენ აეშვირად, აქეზებდნენ ჯარსაო და ზოგიერთები თვითონ, პირველ რაზმაში ჩამდგარნი, გაცხარებით იბრძოდნენო.

—

„რიცხვი ცამეტი (13) უბედური რიცხვი შექნა ჩვენთვის, ამბობს კავკაზიელი კორრესპონდენტი რუსული გაზეთის „Новое Время“-სი (№ 544): 13 მაისს ლორის-მელიქოვის ცხენოსან ჯარს ჰქონდა მტერთან შეტაკება, რომელიც კინაღამ ძალიან ცუდათ გათავდა ჩვენთვის; 13 ივნისს, როგორც მოგეხსენებათ, ზივინის საქმე იყო და 13 აგვისტოს ოსმალებმა წაგვართვეს ჩვენ უიზილ-ტაფა.“

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

ვენის გაზეთი „Tagblutt“ ამბობს, რომ მდ. ინტრისაკენ დ. მ. მემკვიდრეს 60, 000 კაცი ჰყავს და ამ ჯარით ის უნდა გაუმაგრდეს მეჰმედ-ალი-ფაშის არმიას, რომელსაც თითქმის ამდენივე ჯარი ჰყავს იქ და რომელიც მდ. ლომის მარცხენა ნაპირიდამ აწვება მემკვიდრის არმიას.

# საქართველო

## დღიური

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ თფილისის სადგილ-მამულო ბანკის გამგეობას შინაგან საქმეთა მინისტრისაგან ქაღალდი მოსვლია, რომელშიაც აძლევს წინადადებას, რომ იმ პირთ, რომელნიც ამ ჟამად სამხედრო სამსახურში ითვლებიან და რომელთაც მამულები აქვთ თქვენს ბანკში დაგირავებული, მომავალი 1878 წლის 1 ივლისამდი აღროვეთ სარგებლის შემოტანა და ვალის გადახდაო. და ეს ამ გვარი მოქმედება ბანაკის გამგეობისა იქნება, არათუ ბანკის წესდების დარღვევა, არამედ ხელმწიფე იმპერატორისთვისა სასიამოვნო განკარგულებაო.

უეჭველია, ამ გვარი წინადადება ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკას გამგეობასაც მოუვიდოდა.

ამ წინადადებაზე და აგრეთვე სხვა საბანკო საქმეებზე მოსალაპარაკებლად, როგორც გვითხრეს, თფილისის ზედამხედველი კომიტეტის გადაწყვეტილებით, მომავალ 10 ოქტომბრისთვისათვის ბანკში მონაწილე თავად-აზნაურთა საზოგადო კრება არის დანიშნული.

*** სოხუმის სამხედრო მაზრის უფროსად გენერალ-მაიორი შოლკოვნიკოვი დანიშნეს.

*** ამას წინათ ჩვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ ოზურგეთში გამოდის ხელ-ნაწერი დეპეშები. როგორც სჩანს, ეს დეპეშები ხეირიანათ ვერ იწერება: რამდენიმე პირისაგან საჩივარი მოგვივიდა, რომელშიაც ემდურებიან დეპეშების გამომცემელს, რომ ხანდისხან ისეთ ნაირათ არის დაწერილიო, რომ სრულიად არ შეიძლება ჰაზრის გაგებაო; გრამატიულ და ორთოგრაფიულ შეცდომებს ვინ დასდევს, მხოლოთ ჰაზრი გაგვაგებინონ, რასა სწერენო, რა ამბავიც ხდება იმისიო....

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ოზურგეთი**, 4 სექტემბერს. ნათქვამია: „ჭირიც ზედის-ზედ და ლხინიც ზედის-ზედო“. ასე გვჭირს ჩვენ ეხლა, ბატონო რედაქტორო: ჯერ ხომ გასულს წელში შემოდგომაზე მდინარეების გადიდებით დიდი ზიანი მიეცა ჩვენი გურიის მცხოვრებლებს: რამდენი ყანები წალეკა, სათესი ადგილები ქვებით აავსო, რამდენი სახლები და წისქვილები წაიღო და ადამიანებიც იმსხვერპლა—ამას ანგარიში არა აქვს.

ამ მოვლენაზე ხალხი ლაპარაკობდა: „დასახედავია“, ამას სხვა უარესი შედეგი უსათუოთ მოჰყვებიან კვალშიო.“

მართლაც, რომ გამართლდა ამ უმეცარი ხალხის წინასწარ-მეტყველება! სწორეთ ცუდი შედეგები მოჰყვენ კვალში ამ პირველს მოვლენას:

ჯერ გაზაფხულზევე ამ წელში შევატყვეთ, რომ ჩვენი მაღალ-მაღალი, ვენახებით დატვირთული ხეები იმედს გვიკარგავდნენ და თითქო გვეუბნებოდნენ: „ჩვენი იმედი ნუ გაქვთ. წელს, ვერც ჭირში გიშველით და ვერც გალხენთო! ტყუილა გიდელსა (ყურძნის საკრეფი კალათია) და გოდორს ნუ სწნავთ, თავს ნუ იწუხებთო!“

ამან ძალიან აალელვა ჩვენი ხალხი; მაგრამ თავის-თავს ისე ანუგეშებდნენ: „მადლობა ღმერთს, კაცთა მშვიდობა იქნეს და ღვინოს შენი ჭირი წაუღია; წყურვილით კაცი არ მომკვდარა და არც ჩვენ მოვკვდებითო; ოღონდ ვიმუშაოთ, მჭადი და ღომი მოვიწიოთ, შიმშილით არ მოვკვდეთ და ჩვენი ანკარა წყაროების წყალობით წყურვილს კი მოვიკლავთო“.

მაგრამ ვაი, რამდენმა ამის მთქმელმა წაიღო წიგნი საიქაოს, „წითელი ბატონებისა“ და „მუცელ-კეთილის“ წყალობით! ეს ორი სნეულება ისე გავრცელდა ჩვენში, რომ იმისთანა სახლობა არ დარჩენილა, თითო კაცის სული მაინც არ ემსხვერპლოს. ეს ხომ მეორე უბედურებაა.

ამ მეორე უბედურებას მესამეც მოჰყვა. ეს გახლავთ საქონლის ჭირი. საწყალ სოფლის კაცს თითო-ოროლა ხარი და ძროხა ჰყავნდა; ხარი ყანის ხვნაში და სიმძიმის გადატანაში შველოდა, როგორც საკუთარი ძმა, ძროხა მჭადის შესატანებელ ყველს აძლევდა. ესენი ყველა იხოცება რაღაც უცნობი ჭირით. ახლა რა ქნას? ვის უნდა შესჩივლოს ამ გაჭირებიდამ გამოხსნისათვის?...

აი რა მაგალითები მოხდა ჩვენში: გლეხ-კაცს პირუტყვები დაეხოცა ასე, რომ ერთიც არ დარჩენია. ეს კაცი ამბობს:

„მე არ დავფსებულიყავი, თვარა თლათ ქვეყანა დანარწყულა! ამის დამარხვის დარდიც არ მკლავს, ამაზე ჯაფას არ ვიღებ, გადავათრევ და ძაღლები და ყვავები მაინც კი მომემადლიერებიან.“ მართლა ასე შვრება: მკვდარ პირუტყვს ესევა ძაღლები და გადააქვსთ ადგილიდამ ნაგლეჯ-ნაგლეჯებათ, ასე რომ მთელს სოფელს ჰფანტვენ ძვლებით. ამით, რასაკვირველია, ჰაერი ცუდდება, პირუტყვებს ეყრება ჭირი და იხოცება. ასე გავრცელდა ჩვენში ეს საშინელი საქონლის ჭირი.

ამას მამასახლისი ყურადღებას არ აძლევს; თუნდაც მისი თვალებითაც ხედავდეს, გვერდს ჩაუვლის; ამ მკვდარს პირუტყვს დასაფლავება უნდა, თორემ თუ დარჩა, სხვებს გადაედება და დახოცავსო, იმას ჰაზრშიაც არ მოსდის ეს.

მეგებ ვინმემ სთქვას: მამასახლისს არ ესმის, რა ქნასო? მაგრამ ეს არ ითქმის, რადგან მამასახლისებს ამას წინათ პირ-

უტყვების ექიმმა მისცა დარიგება, თუ როგორ მოიქცეს ამ საგანზე.

აჲე მოგვიძულეს, ბატონო რედაქტორო, მამასახლისებმა და რა ვქნათ? თქვენ შეასმინოთ ეგებ რამე, მაგრამ არც თქვენი გაზეთი მოქმედებს მათზე: მამასახლისების ამ გვარი ქება ხშირათ იბეჭდება თქვენს პატივცემულ გაზეთში, მაგრამ ყურსაც არ აპარტყუნებენ. რისთვის? რისთვის და მისთვის, რომ თქვენი გაზეთი მათ არ მოსდის და არ კითხულობენ, და თუ ვინიცობაა წაიკითხა, შეხვდა სადმე, ამას იტყვის: „ამის დამწერი უსაქმო კაცია და იმიტომ ბევრს ლაპარაკობსო!“

ამ ნაირ უმოწყალოთ ვიღუპებით, ბატონო რედაქტორო. ეხლანდელი საქონლის ჭირი სხვას არ ჰგავს; ჩვეულებრივი რომ ყოფილიყო, თქვენი ნათქვამი წამლები უნდა წასდგომოდა. მე ძალიან გამეხარდა, როცა წავიკითხე თქვენი გაზეთის ნომერში ესა და ეს წამალი ჯანმთელ საქონელს დაიცავს და ესა და ეს ავათმყოფს შეელისო. მაშინვე ვიხმარე ეს ღონისძიება თქვენი დარიგებისამებრ, მაგრამ ამით ეს ანდაზა გამართლდა: „ერთ კაცს ცული ჩაუვარდა წყალში და წალდიც შიგ ჩააყოლაო!“ არაფერი წაადგა.

ეს სნეულება დოქტორ ბაბოვს აუწერია კარგათ, სწორეთ ისე გახლავს ჩვენშიაც, როგორც წავიკითხე „დროებაში“. იმას უცხონდა მამა, დოქტორი ის ყოფილა, ადამიანის ავათმყოფობაც გულს შესტკივა და პირუტყვისაც.

გრიგოლ ცეცხლაძე

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

დიდი მღელვარება თურმე ამ ჟამად სტამბოლში ამ ომიანობის გამოისობით. თუმცა აქ ყველანი დარწმუნებული არიანო, ამბობს ერთი ნემეცური გაზეთის კორრესპონდენტი, რომ ამ ბრძოლაში ისინი დარჩებიან გამარჯვებულნიო; მაგრამ ამ გვარი მომავალი ბედნიერება, როგორღაც, თითქო აშინებს ოსმალოს ხალხს: როცა ამას წინათ ერთმა ვილაცამ მიულოცა თურმე მთავარ ვეზირს ედჰემ-ფაშას მუხთარ-ფაშის ახალი გამარჯვება მცირე აზიაში, ამან სთქვა შემდეგი:

— საქმე ისე მიდის, რომ, როგორც ეხედავ, გამარჯვებული ჩვენ დავრჩებით ამ ომში. მაგრამ მე მაინც რაღაც მეშინია: დარწმუნებული ვარ თითქო, რომ ეს გამარჯვება ჩვენთვის სასიკეთო არ იქნება.

სერბიისა და საბერძნეთის ომში გარევაც აღელვებს ოსმალოებს და ამბობენ, რომ, თუ დიდ რუსეთთან და ჩერნოგორიასთან ეს ორი სახელმწიფოც კიდევ დაეცა ჩვენს ქვეყანას, მაშინ შეიქნება მამაკვდინებელი ბრძოლა, სანამ შეგვეძლება ვიომებთ, ან ცოცხალი დავრჩებით, ან ყველა ამოვსწყდებითო.

— დიდ-ძალი ახალი ჯარი გროვდება თურმე თან-და-თან ოსმალეთში ლაშკარში წასასვლელად. ხონთქრის გამოცხადებამ, რომ ვისაც თოფის ხმარება შეგიძლიანთ, გამოდით, დაიცვევით თქვენი ქვეყანა მტრისგანაო, მართლაც გავლენა იქონია და ყველა ფეხზე დააყენა: მუდამ დღე ასობით და ათასობით მოდიან თურმე სერასკერიატში (სამხედრო სამინისტროში) და თხოულობენ, თოფიარაღი მოგვეცით და ბრძოლის ველზე გაგვისტუმრეთო.

—სტამბოლში 50,000 კაცი მილიციონერი (ნაციონალური გვარდია) ერიდება, რომლის დანიშნულება ის არის, რომ დაიცვას ამ ქალაქში წესიერება, რადგან რეგულიარული ჯარი ლაშკარში უნდა წავიდეს.

## საფრანგეთი

გუშინ ჩვენს ქალაქში მოვიდა პარიჟიდამ შემდეგი დეპეშა, რომლის დაბეჭდვა ჩვენს გაზეთში ვერ მოვასწარით:

„პარიჟი, 7 სეკტემბერს. მარშალ მაკ-მაჰონმა მომავალი ამორჩევების თაობაზე, გამოსცა მანიფესტი, რომელშიაც ამბობს, რომ რადიკალების გაძლიერება აიძულებს, რომ ხელ-ახლად მიმართოს ხალხის კეთილგონიერებას. ის არწმუნებს ხალხს, რომ აზრათაც არა აქვს რესპუბლიკას უღალატოს. „მე არ დავემორჩილები დემაგოგების მუქარასო, ამბობს პრეზიდენტი, და დავრჩები ჩემს ალაგსაო.“ შემდეგ მაკ-მაჰონი არწმუნებს ხალხს, რომ იმის ჰაზრების მოწინააღმდეგე დეპუტატების ამორჩევა დამღუპველი იქნება როგორც საფრანგეთის შინაგან კეთილდღეობისათვის, აგრეთვე გარეშე ქვეყნებთან განწყობილებისათვისაო (?!).“

— ტელეგრამმებიდამ იცის ჩვენმა მკითხველმა, რომ პარიჟის სასამართლომ, მაკ-მაჰონისა და იმის მინისტრების შეურაცხმყოფელი სიტყვის წარმოთქმისათვის, გამბეტტას სამი თვით დამწყვდევა და 2,000 ფრანკის გადახდა გადაუწყვიტა. ფრანცუზულ გაზეთებში იწერებიან, რომ გამბეტტას აპელაცია შეუტანია ამ გადაწყვეტილებაზე და თავის ადვოკატათ გამოჩენილი რესპუბლიკელი ადვოკატი ალლუ დაუნიშნავს.

— ამბობენ, ვითომც ჟულ გრევის უარი უთქვამს ტიერის მაგივრად იკისროს რესპუბლიკური პარტიის მეთაურობა, რომელიც გამბეტტამ და საზოგადოთ მთელმა ამ პარტიამ მიანდო იმას. თუ ეს მართალია, მაშინ საფიქრებელია, რომ ამ ადგილზე თვითონ გამბეტტა იქნება ამორჩეული.

## იტალია

იტალიის გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ რომის პაპი ძალიან ავათ არის და ექიმებმა იმის მორჩენის იმედი გადაწყვიტესო. მაგრამ ეს ამბავი ერთობ გაზვიადებული ყოფილა, რადგან პაპი ახლა კარგათ შექნილა.

— როცა პიო მე-IX-ს უთხრეს თურმე ტიერის სიკვდილი, იმან სთქვა, რომ მართალია, მიცვალებული ეკლესიის მტერი იყოვო; მაგრამ მომავალი დაგვარწმუნებსო, რომ იმის სიკვდილი საფრანგეთისათვის დიდი დასაკლისი იქნებაო.

# ნარევი

ერთს რუსულს გაზეთში დაბეჭდილია პლევნოდამ დაბრუნებულის დაჭრილი რუსის სალდათების ნალაპარაკევი ოსმალოს ჯარის შესახებ. ამ გაზეთის („კიეველიანინის“) კორრესპონდენტი ამბობს, რომ საზოგადო ჰაზრი ჩვენი სალდათებისა ის არის, რომ ოსმალოს სალდათი ჩვენზე უკეთ არის დაიარაღებული და ჩინებულად ისვრისო.

„—ოსმალოს სალდათი ძალიან მარჯვეაო, სთქვა თურმე ერთმა რუსმა. პლევნოსთან რო ისინი თავგაწირვით იბრძოდნენ, უკეთესი არ შეიძლება. თოფები მაინც, ჩინებული თოფები აქვთ და ისე კარგათაც ისვრიან, რომ ორი-ათას ნაბიჯზე მიზანში ამოილებენ.

“—ჩვენები-ღა როგორები არიან ბრძოლაში!

„—ჩვენები რა! ჩვენ იმათსავით მარჯვე არა ვართ, მაგრამ ბრძანების ასრულება ვიცით: გვეტყვიან, წავალთ, მივაწვებით, უკან ჩვენი დაბრუნება აღარ შეიძლება!“

* * *

ამბობენ რომ გამოჩენილი მხატვარი აივაზოვსკი აპირებს თურმე იმ სურათის დახატვასაო, როდესაც ჩვენმა ცეცხლის გემმა „კონსტანტინემ“ ოსმალოს ჯავშნიანი ხომალდი თავის ლაღმიანი ნავებით აფეთქაო.

რადგან, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, ჩვენს ცეცხლის გემს ოსმალოს ხომალდი არ აუფეთქია, ამის გამო უფ. აივაზოვსკიმ თავის ოცნების, ფანტაზიის შემწეობით უნდა შეასრულოს და დახატოს ეს სურათი.

* * *

საქონი შაშა ოდესაში ამ ჟამად ორმოც-დარვა მანეთადე ექვს თუმნათ იყიდება.

* * *

ყველა ოსმალოს ახლანდელი სარდლების ვინაობა და ბიოგრაფია ვიცით: ვიცით რომ ჩვენი მუხთარ-ფაშა, ისმაილ-ფაშა და სულეიმან-ფაშა ნამდვილი ოსმალები არიან შთამომავლობით, დერვიშ-ფაშას წინაპარნი ამბობენ, ვენგრიელები იყვნენო, მეჰმედ-ალი-ფაშა ნემეცია და სხვ.; მა-

გრამ ოსმან-ფაშა კი ვინ არის—ჯერ არა ვიცით-რა.

ერთს ამერიკელ გაზეთში იწერებიან, რომ პლევნას გმირი—ოსმან-ფაშა ნამდვილი ამერიკელი არისო, სახელად კლეი კრაუფორდი. ი) ჯერ შეერთებული შტატების არმიაში მსახურებდაო, მერე ეგვიპტეს ქედივის (ვიცე-კოროლის- სამსახურში გადავიდაო და შემდეგ კი, ამ რამდენიმე წლის წინათ, ოსმალოს სამსახურში შევიდაო.

სხვები ამბობენ, რომ ოსმან-ფაშა გამოჩენილი საფრანგეთის მოღალატე, მეცის სიმაგრის გამსყიდველი—ბაზენი არისო, რომელმანც ჯერ რუსეთს სთხოვა სამსახურში მიღება, მაგრამ რადგან უარი უთხრეს, ადგა და გამოჯავრებული ოსმალოს სამსახურში შევიდაო.

ერთი შუშელი თათარი გვარწმუნებდა ამ დღეებში რომ ოსმან-ფაშა შუშიდამ არისო; თათარია, რუსის სამსახურში იყო, პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდაო და ორი წელიწადიც არ იქნება, რაც შუშიდამ სტამბოლს იმან თავის ცოლ-შვილი წაიყვანაო!

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარ.-ბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დის—დოქტორი ონანოვი.

ოთხშაბათობით და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდის—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12მდის—დოქტორი ალბანუსი.

ყმაწვილთა ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდის და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშა-

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა. რემერტის, ალბანუსის და ონანოვის

## ტფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდის.

ორშაბათს: ექიმი მინკიევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი—ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალი-ავათმყოფობის

# განცხადებანი

უმორჩილესად ვსთხოვ იმ პირებს, ვინც 1875 წლიდამ ვიდრე 1876 წლამდი ჩემი წიგნის მაღაზიის ქართული წიგნების გასაღებაში იღებდა მონაწილეობას, რომ რაც გაყიდული აქვთ წიგნები; იმის ანგარიში გამომიგზავნონ.

ვისგანაც ვერ მივიღებ პასუხს, შემდეგ იძულებული ვიქმნები **სახელი და გვარი გამოვაცხადო გაზეთში** და ვიზე რამდენი იქნება დარჩენილი **ფული**. ამას იმიტომ ვაცხადებ, რომ წიგნის პატრონები მე ანგარიშს მთხოვენ და ვერ მიმიცია დღემდის, რადგან აგენტები ფულებს არ მიგზავნიან. **ადრესი ჩემი**: Въ Тифлисъ, Типогр. Меликова, Арсену Каландадзе. არსენ კალანდაძე.

3—1

## გაკვეთილები თეორეტიულის და პრაქტიკულის ბუხ-ლალტერიისა

ორ-გვარის [illegible]იტალიურისა, ბანკის, ფაბრიკის, სავაჭრო, კომისიურის და აგრეთვე **სავაჭრო არითმეტიკისა**.

**ადრესი**: ლაპორატორიის ქუჩა, ნამესტნიკის ბაღის პირ-და-პირ, პაროვის სახლებში, № 14.

მეხუთე კარი

## „ყარამანიანი“

გამოვიდა და იყიდება, ტფილისში: მელიქიშვილის სტამბაში და სხვა წიგნის მაღაზიებში. სპარსულიდგან ქართულს ენაზე ნათარგმნი თავის სურათებით. ფასი 40 კაპ. (ორი აბაზი). აგრეთვე იყიდება ზემოხსენებულ ადგილებში I, II, III, და IV კარი ყარამანიანისა.

ქუთაისში: გუბერნიის სტამბაში სვიმონ ჩომახიძესთან.

**დაიბეჭდა და გამოვიდა სტამბიდამ**

ლექსი

**თ. ი. ზ. ჩოლაყაშვილის გარდაცვალებაზედ**

თავის სურათით

თქმული

**დავით ბიბიშვილისაგან**

**იყიდება** სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

**ფასი** ყველგან ორი შაური.

**ქუთაისში მიიღებენ ყმაწვილებს** საშუალო სასწავლებლების მესამე კლასამდის **მოსამზადებლად**.

მსურველს შეუძლიან იკითხოს „კოლხიდის“ სასტუმროში მადამ **დიუკონი**.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ.-და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისის და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 5 ენკენის. | | |
| ერთი ანგეთი ლირას: | | |
| ლონდონში 24 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 259 სანტიმი. | — | 81 |
| ესკონტი(სარგებლისფასი) | 7½ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 94 | — |
| მოგებიანი(პირველისესხი) | 208 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 208 | 75 |
| მიწაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის (5½ | 85 | 25 |
| მოსკოვის (5%). . . | 85 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 527 | — |
| კავკასიის და მერკურის. . | 225 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 745 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 10 ენკენის. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ. | 1 | 55 |
| ფქვილი წითელი. . . | 1 | 40 |
| ქერი ფუთი. . . . | 1 | 30 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | — |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 8 | 10 |
| ბაპენტილი ბამბა ფუთ. | 8 | 20 |
| მატყლი თუშური ფუთ . | 5 | — |
| —თარაქამისა ფუთ. . | 3 | 40 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 3 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 5 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 54 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 54 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 11 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | — |
| —ფხვნილი ფუთი . . | 7 | 20 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 32 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 11 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 7 | 90 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Сентября 1877 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.